



**მნიშვნელოვანი შეტყობინება ლტოლვილთა სტატუსის მაძიებელთა მიერ სუბსიდირებულ პროტექციაზე განცხადებების გაკეთებასთან დაკავშირებით.**

1. H.N.-სა და ირლანდიის იუსტიციის, თანასწორობისა და სამართლებრივი რეფორმების მინისტრისა და გენერალური პროკურორის საქმეში ევროკავშირის სასამართლო პალატის გადაწყვეტილების თანახმად, ევროკავშირის (სუბსიდირებული პროტექცია) 2013 წლის რეგულაციები (S.I. No. 426, 2013) შეიცვალა.
2. ევროკავშირის (სუბსიდირებული პროტექცია) (ცვლილება) 2015 წლის რეგულაციებს (S.I. No. 137, 2015) კანონიერი გავლენა ექნებათ შემდეგ საკითხებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ სასამართლო დადგენილებას:
  - ნებისმიერს პირს, რომელიც გააკეთებს ახალ განაცხადს ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შეეძლება განაცხადი გააკეთოს სუბსიდირებულ პროტექციაზე ლტოლვილთა აპლიკაციების კომისრის ოფისში (ORAC).
  - ნებისმიერ პირს, რომელიც ამჟამად ელოდება გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შეუძლია გააკეთოს განაცხადი სუბსიდირებულ პროტექციაზე ლტოლვილთა აპლიკაციების კომისრის ოფისში.
3. იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი უარს იტყვის განმცხადებლისთვის ლტოლვილის სტატუსის მიცემაზე, სუბსიდირებული პროტექციის აღნიშნული განცხადებები განიხილება და შეისწავლება ლტოლვილთა აპლიკაციების კომისრის ოფისის მიერ ევროკავშირის (სუბსიდირებული პროტექცია) 2013 წლის რეგულაციების (S.I. No. 426, 2013) (ცვლილების შემდეგ) პირობების მიხედვით.

#### 4. რას მოიცავს 2015 წლის რეგულაციები?

თუ თქვენ სუბსიდირებულ პროტექციაზე ახალი განმცხადებელი ხართ:

2015 წლის რეგულაციების თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც გააკეთებს ახალ განაცხადს ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შეუძლია გააკეთოს განაცხადი სუბსიდირებულ პროტექციასთან დაკავშირებით, რომელსაც შეისწავლის და განსაზღვრავს კომისარი, იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი უარს იტყვის განმცხადებლისთვის ლტოლვილის სტატუსის მიცემაზე. ამასთან დაკავშირებით, კომისარი 2013 წლის რეგულაციების (ცვლილების შემდეგ) შესაბამისად და სუბსიდირებული პროტექციის განმცხადებელთან გასაუბრების შემდეგ, აპლიკაციის შესწავლასთან დაკავშირებით მოამზადებს წერილობით ანგარიშს. კომისარი იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრს მიმართავს რეკომენდაციით ეკუთვნის თუ არა აპლიკანტს სუბსიდირებული პროტექცია.

თუ თქვენ ხართ სუბსიდირებული პროტექციის უკვე არსებული აპლიკანტი:

2015 წლის რეგულაციების თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც ამჟამად ელოდება გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით, ასევე შეუძლია გააკეთოს განაცხადი სუბსიდირებულ პროტექციაზე, რომელსაც შეისწავლის და განსაზღვრავს კომისარი, იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი უარს იტყვის განმცხადებლისთვის ლტოლვილის სტატუსის მიცემაზე. ამასთან დაკავშირებით, კომისარი 2013 წლის რეგულაციების (ცვლილების შემდეგ) შესაბამისად და სუბსიდირებული პროტექციის განმცხადებელთან გასაუბრების შემდეგ, აპლიკაციის შესწავლასთან დაკავშირებით მოამზადებს წერილობით ანგარიშს. კომისარი იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრს მიმართავს რეკომენდაციით ეკუთვნის თუ არა აპლიკანტს სუბსიდირებული პროტექცია.

5. ზემოთ ხსენებული კატეგორიის პირების შემთხვევაში, სუბსიდირებულ პროტექციაზე განცხადების გაკეთება შესაძლებელია ORAC-ის შევსებული ფორმა SP/04-ის წარდგენით [ევროკავშირის (სუბსიდირებული პროტექცია) 2013 წლის რეგულაციების (ცვლილების შემდეგ) რეგულაცია 3ა-ს ფარგლებში გაკეთებული განცხადება სუბსიდირებულ პროტექციაზე], ან

- პირადად ლტოლვილთა აპლიკაციების კომისრის ოფისში, მისამართზე: Timberlay House, 79-83 Lower Mount Street, Dublin 2

## ან

- ფოსტით ORAC-ის კლიენტთა მომსახურების ცენტრში, მისამართზე: Customer Service Centre, Timberlay House, 79-83 Lower Mount Street, Dublin 2

6. სუბსიდირებულ პროტექციაზე განცხადების გაკეთების შემდეგ, დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შეგიძლიათ ORAC-ის SP/05 ფორმის შევსებით (ევროკავშირის (სუბსიდირებული პროტექცია) 2013 წლის რეგულაციების (ცვლილების შემდეგ) რეგულაცია 3ა-ს ფარგლებში სუბსიდირებულ პროტექციაზე გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია) და მისი ზემოთ ხსენებულ მისამართზე წარდგენით. დამატებითი ინფორმაცია კომისარს შეიძლება მიეწოდოს განაცხადის გაკეთებიდან ნებისმიერ დროს მინისტრის მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შემდეგ მისი კომისრისთვის გაგზავნიდან 15 სამუშაო დღის გასვლამდე.

7. 2013 და 2015 წლის რეგულაციების სრულად ნახვა შესაძლებელია ლტოლვილთა აპლიკაციების კომისრის ვებ-გვერდზე: <http://www.ORAC.ie>.

ლტოლვილთა აპლიკაციების კომისრის ოფისი

2015 წლის 20 აპრილი